



#არჩევნები2017: საინფორმაციო ბიულეტენი #4 სექტემბერი, 2017 წელი

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი 1 ივნისს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს, რომელიც **USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“** ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს ხელი შეუწყოს:

ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებს. საარჩევნო კანონმდებლობაში

პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას. აგრეთვე, უახლოეს მომავალში, ორგანიზაცია საზოგადოებას წარუდგენს წინასაარჩევნო კონტექსტის და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების თაობაზე პირველ შუალედურ ანგარიშს.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს, 21:00 საათზე, "დინამო არენაზე" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „ვითიბი ბანკთან“ და ლუდ „აისთან“ ერთად, საქველმოქმედო მატჩი *”მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის“* გამართა.

საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩში მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად "ქართული ოცნების" თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემაც ითამაშა. თამაშის გამართვამდე, მის საფეხბურთო მატჩში მონაწილეობის მართებულობაზე, [კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა](#), რომ იურიდიულად იდგა საკითხი, შეიძლებოდა თუ არა მატჩში მისი მონაწილეობა, ვინაიდან საარჩევნო პერიოდი იყო, მაგრამ ის მიიღებდა მონაწილეობას. ასევე, კახი კალაძემ დაადასტურა, რომ მსოფლიო ვარსკვლავებთან დაკავშირება უშუალოდ მას სთხოვეს, იქედან გამომდინარე, რომ მას მათთან შეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.

საფეხბურთო მატჩში თბილისის მერობის კანდიდატთან, კახა კალაძესთან ერთად მონაწილეობა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებმა მიიღეს და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მატჩიდან შემოსული თანხა ბორჯომის ტყის დამწვარი ტერიტორიის აღდგენას უნდა მოხმარდეს. მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ონლაინ რეჟიმში, საიტზე TKT.GE გაიმართა და ბილეთების ფასი 5, 10, 15 და 25 ლარს შეადგენდა. ასევე, საინტერესოა ის გარემოება, რომ ღონისძიებას ორგანიზება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაუკეთა.

საია მიიჩნევს, რომ რომ აღნიშნული ფაქტი, სავარაუდოდ მოიცავს, როგორც წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის, აგრეთვე უკანონო შემოწირულობის ნიშნებს, რაც დამატებით შესწავლას საჭიროებს.

საიამ აღნიშნული ფაქტის შესახებ [განცხადებით](#) მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და უწყებათაშორის კომისიას და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმის შესწავლა სთხოვა.

მიმართვის საპასუხოდ, ცესკომ [განაცხადა](#), რომ საარჩევნო ადმინისტრაცია კანონდმებლობით გათვალისწინებულ ქმედებებს განახორციელებს არა წინასწარ ფაქტის დადგომამდე, არამედ კონკრეტული ფაქტის დადგომის შემდგომ.

რაც შეეხება უწყებათაშორისი კომისიის პოზიციას, კომისია დაინტერესდა აღნიშნული შემთხვევით და საქმის შესწავლის მიზნით მიმართა აუდიტის სამსახურს.

საია აკვირდება მიმდინარე პროცესს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

**საარჩევნო აგიტაციისთვის/კამპანიისთვის
ხელის შეშლა**

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული მერობის კანდიდატის - ალექსანდრე ელისაშვილის “Facebook”-ის გვერდის საშუალებით გავრცელდა [ვიდეომასალა](#), სადაც ასახულია სავარაუდოდ სააგიტაციო ღონისძიებაში ხელის შეშლის ფაქტი.

ვიდეომასალაში ჩანს, რომ დიდუბის გამგებლის მოადგილე (მისივე განცხადებით - უგულავა), მოქალაქე ი. ბენდელიანი (მისივე განცხადებით - „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრი) და სხვა უცნობი პირები ალექსანდრე ელისაშვილსა და მის მხარდამჭერებს არ ამლევენ ღონისძიების გამართვისა და ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვიდეომასალის მიხედვით, მოქმედება ვითარდება სამუშაო საათების განმავლობაში.

საიამ აღნიშნული ფაქტის შესახებ [განცხადებით](#) მიმართა უწყებათაშორის კომისიას და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საქმის შესწავლა სთხოვა.

საია აგრძელებს აღნიშნული საქმის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

**ადმინისტრაციული რესურსის
გამოყენების სავარაუდო ფაქტი**

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს გაზეთ „გურია ნიუსში“ გამოქვეყნებული [ინფორმაციის](#) თანახმად, ოზურგეთში გამართულ პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გურიის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები წარადგინა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გია გიორგაძე გამგეობის ბალანსზე მყოფი სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით იყო მისული. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მოწმე და ასევე არსებობს ფოტო მასალა.

საია მიიჩნევს, რომ სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რაზეც სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების მიზნით [განცხადებით მივმართეთ](#) #62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიას.

საია აგრძელებს საქმის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარუდგენს.

საარჩევნო დავების გადაწყვეტის ქართულ-ფრანგული პრაქტიკის გაზიარება

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოსთან ერთად გამართა შეხვედრა თემაზე „ადმინისტრაციული მართლმსაჯულება და საარჩევნო დავების გადაწყვეტა“.

შეხვედრის მიზანი საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესში ორი ქვეყნის გამოცდილების ურთიერთგაზიარება იყო. შეხვედრას ესწრებოდნენ საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეები, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაცია, იუსტიციის სამინისტროსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები.



შეხვედრა საქართველოში საფრანგეთის ელჩმა, პასკალ მეუნიემ გახსნა და მიმოიხილა ზოგადად სახელმწიფო საბჭოს როლი და მისი დანიშნულება. სახელმწიფო საბჭოს მრჩეველებმა - ივ გუნინმა და ივ დუტრიომ კი, ისაუბრეს საფრანგეთში სხვადასხვა ტიპის საარჩევნო დავების მოგვარების პროცესებსა და პრაქტიკაზე.

საიას წარმომადგენელმა, საარჩევნო საკითხების სპეციალისტმა ირმა პავლიაშვილმა კი, წარადგინა მოხსენება საქართველოში საარჩევნო დავების გადაწყვეტის პრაქტიკასა და ამ კუთხით ბოლო

პერიოდში გამოკვეთილ ტენდენციებზე. კერძოდ, ხაზი გაუსვა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების

შედეგად გამოკვეთილ გამოწვევებს და მათ საპასუხოდ საიას მიერ შემუშავებულ ხედვებსა და რეკომენდაციებს.

შსს მინისტრის ბრძანება არჩევნების თავისუფალ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად

შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა 2017 წლის 21 ოქტომბერს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად სპეციალური [ბრძანება გამოსცა](#), რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამატებითი ღონისძიებების განახორციელებას ითვალისწინებს.

ბრძანების შესაბამისად, სამართალდარღვევების პრევენციის, ასევე, მათზე დროული და შესაბამისი რეაგირებისთვის, საქართველოს თითოეულ რეგიონში შეიქმნება პასუხისმგებელი ჯგუფები, რომლებიც თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე უზრუნველყოფენ მოსალოდნელი საფრთხეების გამოძვევი მიზეზების გამოვლენისა და რისკების მუდმივი შეფასებისათვის საპოლიციო ძალების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა დაგეგმვას და მათი ჩატარების ორგანიზებას.

ბრძანება, ასევე, ითვალისწინებს პოლიციელთა ვალდებულებას, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე, არჩევნების დღეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი.

საია დადებითად აფასებს ზემოაღნიშნული ბრძანების გამოცემას და მიგვაჩნია, რომ მისი აღსრულების შემთხვევაში იგი ხელს შეუწყობს უსაფრთხო საარჩევნო გარემოს შექმნას.

საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის კოდექსი

საიამ სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან და საარჩევნო ადმინისტრაციასთან ერთად 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, [ქცევის კოდექსს](#) მოაწერა ხელი.

დოკუმენტი მიზნად ისახავს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობას, კანონის უზენაესობის პატივისცემას და ძირითადი საარჩევნო პრინციპების განხორციელებას.

კოდექსზე ხელმოწერი მხარეები თანხმდებიან, რომ 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოს კანონმდებლობით, არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებენ.



აღნიშნული დოკუმენტი პირველად 2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის შემუშავდა და მას ხელი მოაწერეს როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ისე 23 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.



USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო გიულეტენის მოზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. საინფორმაციო გიულეტენები გაერთიანებული მოსაზრებები აშშ-ის საარჩევნო სისტემის განვითარების შესახებ იხილეთ აქ [www.usaid.gov/georgia](#).
სხვა ინფორმაციისთვის და შეკავშირდით USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხვედრებთან.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.